

პოლიტიკური გაერთიანება “საქართველოს სპორტსმენტა კავშირის” პროგრამის მიმართულებები

1. მოკლე ისტორია

პოლიტიკური გაერთიანება “საქართველოს სპორტსმენტა კავშირი” შეიქმნა 1994 წელს სპორტსმენტა ჯგუფის მიერ. დამფუძნებლები: *ვალერი გიორგობიანი, ედიშერ მაჩაიძე, მირიან ნცალაქალაძე, ნოდარ მოდებაძე, ვახტანგ ბალაგაძე, სიომა ბარქაია, ამურ ციმაკურიძე...*

შექმნის მიზანი: იმ დროს ქვეყანაში შექმნილი მძიმე კრიმინოგენული და სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, სპორტსმენტების დაცვა და გაერთიანება ერთი მიზნის ქვეშ: *ძალა ერთობაშია*.

პირველი პოლიტიკური განაცხადი: 1995 წელს სპორტსმენტა კავშირის ორმა წარმომადგენელმა: **ვალერი გიორგობიანმა** ცაგერიდან და **მანუჩარ მაჩაიძემ** ნაძალადევის რაიონიდან მიიღო მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში და გაიმარჯვა. მათი ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით მაშინდელმა პარლამენტმა დაამტკიცა კანონი სპორტის შესახებ, რომელიც დღეს მოქმედებს. სპორტსმენი პარლამენტარების დამსახურებით, კანონში განსაკუთრებული პირობები ჩაიდო სპორტსმენტა სოციალური დაცვისა და სპორტული ობიექტების ხელშეუხებლობის შესახებ. ამით

საქართველოს სპორტსმენტა კავშირმა რეალურად განახორციელა 1994 წელს პარიზში გამართული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ასწლიანი კონგრესის ის რეზოლუცია, რომელიც იძლევა სამთავრობო სტრუქტურებში სპორტსმენტა არჩევის რეკომენდაციებს.

აქციები, საქველმოქმედო ღონისძიებები: დაარსებიდან დღემდე, სპორტსმენტა კავშირის მიერ ბევრი საქველმოქმედო აქცია განხორციელდა როგორც ინვალის სპორტსმენტების, ასევე უპატრონო ბავშვთა სახლების (მათ შორის ძეგვის ბავშვთა სახლის) დახმარების მიზნით.

2. პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყების მიზეზი:

სპორტსმენტა კავშირს, გარდა ცალკეული სპორტსმენტებისა, დღემდე არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება და ღიად პოლიტიკურ არენაზე გამოსვლა რამდენიმე მიზეზმა განაპირობა:

1. *სპორტსმენტა კავშირი საკმაოდ ხანგრძლივი არსებობის მანძილზე თვალყურს ადევნებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, პოლიტიკური სუბიექტების მოღვაწეობას და მიიჩნევს, რომ ქართულ პოლიტიკაში წესების დაცვით შეჯიბრის დეფიციტია. სპორტული გამოცდილებიდან გამომდინარე, სპორტსმენტებს გააზრებული აქვთ, ბრძოლამ წესების გარეშე სადამდე შეიძლება მიიყვანოს ქვეყანა და ამიტომ საჭიროდ*

მიიჩნევენ პოლიტიკურ მოვლენებში ჩართვას სუფთა ხელებით და ჯანსაღი წესებით.

2. სპორტსმენთა კავშირი არაერთხელ გახდა მოწმე, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები როგორ ეცადნენ სპორტსმენების გამოყენებას პოლიტიკური დივიდენდების მისაღებად (გახმაურებული სპორტსმენთა მხარდასაჭერი აქციები და ა.შ.). სპორტსმენთა კავშირი მიიჩნევს, რომ თითოეული სპორტსმენის რესურსი მიმართული უნდა იყოს ქვეყნის სასარგებლოდ და არა – საზიანოდ და არცერთი სპორტსმენი არ უნდა გახდეს მავანთა პოლიტიკური დივიდენდის წყარო.
3. **სოციალური სფეროდან ყველაზე პრიორიტეტული პრობლემა: ნარკომანია და მასთან ბრძოლა.** სპორტსმენები საგანგაშოდ მიიჩნევენ საქართველოში ამ მხრივ შექმნილ მწვავე სიტუაციას და მიიჩნევენ, რომ სასწრაფოდაა ზომები მისაღები ამ საშინელი სენის აღმოსაფხვრელად. “საზოგადოება ნარკომანიის გარეშე და საზოგადოება ნარკომანების გადასარჩენად” - ესაა სპორტსმენთა კავშირის ძირითადი ლოზუნგი ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლაში.
4. **განსაკუთრებული ხაზგასმა:** სპორტი არის ჯანმრთელობა, მეგობრობა, მშვიდობა, მიტევება, გონება, ტრადიცია, სულისა და ხორცის სიჯანსაღე, კულტურა, ისტორია.. ანუ ყველაფერი ის, რისი გადარჩენა და ხელისშეწყობა ასე სჭირდება დღეს ქვეყანას. სპორტსმენთა კავშირი ამ ღირებულებების დაცვით აპირებს პოლიტიკურ მოღვაწეობას.

3 კავშირის პოლიტიკური მიმართულება:

მკვეთრად ცენტრისტული, ჯანმრთელ ურთიერთობებზე ორიენტირებული ყველა პარტიასთან. შენიშვნებში კორექტული და პოლიტიკურ შეჯიბრში – “დოპინგის” გარეშე, თამაშის ჯანმრთელი წესების დაცვით.

4. პარლამენტში მოხვედრის მიზანი:

ხელისშეწყობა იმისთვის, რასაც სახელმწიფო აკეთებს სპორტის განვითარების მიზნით და ინიციატივა იმაზე, რასაც სახელმწიფო არ (ან ვერ) აკეთებს. სხვადასხვა რაიონში სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებაზე პასუხისმგებელი პირების მოძიება და მათთვის როგორც ხელისშეწყობა, ასევე – კონკრეტული პასუხების და საქმის მოთხოვნა.

5. საქმიანობის მიზნები და განხორციელების ფორმები

- ვეტერან და მოქმედ სპორტსმენთა პოტენციური შესაძლებლობების სრულად გამოყენება ქვეყნის სასიკეთოდ;

- სპორტის, როგორც “მშვიდობის დესპანის” როლის ამაღლება სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში, სახალხო დიპლომატიის რანგში;
- კანონის უზენაესობის დამკვიდრებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებაში ქმედითი მონაწილეობის მიღება;
- დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი რეფორმების შემუშავება პოლიტიკის, ეკონომიკის, განათლების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროებში;
- საქმიანი თანამშრომლობა სხვა პარტიებთან პოლიტიკური ვითარების გასაჯანსაღებლად;
- ქვეყანაში სპორტული ცხოვრების პოპულარიზაცია ცნობილი დევიზით: *“ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სული;”*
- დახმარება და თანადგომა სოციალურად დაუცველ ვეტერანთა მიმართ; მათი სოციალური დაცვის გარანტიების შემუშავება;
- სასწავლო დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდის და სპორტის, როგორც სწავლებისა და აღზრდის ერთიანი სისტემის სრულყოფა, მომავალი თაობის ჰარმონიულად აღზრდის საფუძვლად ქცევა;
- ფიზკულტურის პროფილის სასწავლებლების შენარჩუნებისთვის ბრძოლა;
- ნებისმიერი არაჯანსაღი, მავნე ჩვევის (ნარკომანია, ალკოჰოლიზმი და ა.შ) მიმართ დაუნდობელი ბრძოლა და ამ პრობლემით დაავადებული ადამიანების საზოგადოებაში დაბრუნება.